

# შესავალი

„ისტორიას გამარჯვებულები წერენ, ამიტომ მასში არ მოიხსენებიან დამარცხებულნი“, – წერდა XX საუკუნის დასაწყისში ანტონ დრექსლერი<sup>1</sup>. თუ ჩავთვლით, რომ გერმანიის ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ეს გამოთქმა რამდენადმე სწორია, მაშინ არც თუ ისე გასაკვირია ის, რომ ჩვენს დროში ცოტამ თუ იცის საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ, რომელიც 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 14 მარტამდე არსებობდა და ორმა „გამარჯვებულმა“ – საბჭოთა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა გასრისეს.

1991 წელს სსრკ-ის დაშლამდეც კი ყველა დონის საბჭოთა ისტორიკოსები ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველო არც არსებობდა<sup>2</sup>, სამხედრო აგრესიის შედეგად მის ანექსიას ყურადღება რომ არ მიქცეოდა. ამავე მიზეზით მითითებული პერიოდის საქართველოს ისტორიას იგნორირება უკეთდებოდა თურქეთშიც. დასავლეთში საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილი წიგნებისა და სტატიების რაღაც რაოდენობა კი გამოსცეს, მაგრამ ამ კვლევების პოპულარობა ახლოს იყო ნულთან: პრაგმატულ ევროპელებსა და ჩრდილო ამერიკელებს გონივრულად არ მიაჩნდათ დროის დახარჯვა იმის შესასწავლად, რაც არ შედგა და ზერელე შეხედვით აღდგენას არ ექვემდებარებოდა.

---

<sup>1</sup> ანტონ დრექსლერი (Anton Drexler; 1884-1942) – დამაარსებელი გერმანიის მუშათა პარტიისა, რომელსაც შემდეგ გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის სახელწოდებით ჰიტლერი ჩაუდგას სათავეში.

<sup>2</sup> მათ შორის ქართველი საბჭოთა ისტორიკოსებიც. თუ საბჭოთა პერიოდში შეუძლებელი იყო ობიექტური მეცნიერული მოკვლევის გამოქვეყნება, არც დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ გამოჩენილა მომავალი თაობებისთვის „მაგიდის უჯრაში გადამალული“ არამცთუ ასეთი კვლევა, თუნდაც ბელეტრისტული ნაწარმოები. მხატვრულ ლიტერატურაში ეს პერიოდი ასახულია მხოლოდ ა. ქუთათელის ორტომიან რომანში „პირისპირ“ (კონიუნქტურის წინაშე ვალმოხდით) და აქა-იქ გაკვრით (რასაკვირველია, უარყოფით კონტექსტში) მცირე მოცულობის ნაწარმოებებში, მაგ., რ. გვეტამის „ჭიაკოკონა“ (მთარგმ. შენიშვნა).

საქართველოს გარშემო შექმნილმა საინფორმაციო-სამეცნიერო ვაკუუმმა 1991 წლის გაზაფხულზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტში ისტორიის ნაირგვარი ფალსიფიკაციის წინაპირობები შექმნა უპირველესად „რუსული სამყაროს“ პროპაგანდის რუპორების, ასევე სხვადასხვა მიზეზით კრემლის იდეოლოგიური გავლენის ქვეშ მოქცეული დასავლეთის რიგი მკვლევარების მხრიდან. ფალსიფიკაციას ექვემდებარება არა მხოლოდ მთლიანად საქართველოს ისტორია, არამედ არაუბრალო წარსული სხვადასხვა ტერიტორიებისა, მათ შორის მათიც, რომლებიც დღეს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ჩარჩოებშია, ამავე დროს რფ-ის ჯარის მიერაა ოკუპირებული და საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. თვით საქართველოში კი ახალი ისტორიული მეცნიერება ჯერ მხოლოდ ყალიბდება და მას ხანგრძლივი გზის გავლა მოუწევს პროფესიონალიზმისა და ობიექტურობის იმ დონის მიღწევამდე, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან ნდობის კრედიტის უზრუნველყოფა შეეძლება.

ზემოთ თქმულის ძალით მოცემული წიგნის ამოცანაა, როგორც კოლეგა-ისტორიკოსებს, ასევე უფრო ფართო აუდიტორიას გააცნოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სტატუსსა და საზღვრებს არეგულირებდნენ რუსეთის იმპერიის დაცემასა და საბჭოთა კავშირის შექმნას შორის პერიოდში, ასევე ამავე პერიოდში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე, მთლიანად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის და კერძოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონის გარემოზე სხვადასხვა სიდიდით გავლენის მომხდენი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენები. წიგნში ასევე მოცემულია მოკლე ექსკურსები მასში გაანალიზებული საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებისა და დადების მომენტში სადავოდ მყოფი რიგი ტერიტორიების ისტორიასა და ეთნოგრაფიაში.

ბოლოს ბოდიში უნდა მოვუხადო ქართველ მკითხველს იმისთვის, რომ წიგნის თანმხლები რუკების ტექსტი ინგლისურიდან ქართულად არაა გადათარგმნილი. თუმცა, იმედი მაქვს, ტექსტის წაკითხვის შემდგომ მათში გარკვევა რთული არ იქნება. მით უმეტეს, რომ საბაზო ინგლისურს ფლობს თითქმის ყველა, ვინც საერთაშორისო ურთიერთობებით არის დაინტერესებული.

ასევე მინდა ვაცნობო მკითხველს, რომ 1914 წლის შემდეგ თურქეთში სამჯერ (!) გადაარქვეს სახელი ბევრ დასახლებულ ადგილს. ამიტომ დღეს რუკაზე ვერ ნახავთ ზოგიერთ ქალაქსა და სოფელს, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდნენ და ამ წიგნშია მოხსენებული. მათი სახელწოდებები ცნობილია მხოლოდ რუსული ტრანსკრიპციით შტაბის იმდროინდელ რუკებზე და რუსეთისა და სომხეთის მხრიდან მონაწილეთა მემუარებში. თურქები მაშინ არაბული ხვეული, ჩართული ხელით წერდნენ და ეს არ იძლევა ზუსტ წარმოდგენას ამ დასახელებების წარმოთქმაზე.